

მედიაცია, როგორც შრომითი დავების გადაწყვეტის სამართლებრივი
მექანიზმი და მისი რეგულირების თავისებურებები საერთაშორისო და
ადგილობრივ კონტექსტში

მანანა ეგაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო ნაშრომი

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი კეკელიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2022

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”¹

მანანა ეგაძე

02.07.2022

¹ ს. ჯანაშია და სხვები, თამარ, რედ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისათვის (თბილისი: 2011 წელი), გვ. 47.

აბსტრაქტი

მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების გამოყენება საქართველოში მისი „სიკეთეებიდან“ და სიმარტივიდან გამომდინარე არსებულ რეალობაში სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს. გამომდინარე იქიდან, რომ შრომითი დავების გადაწყვეტა თითოეული სახელმწიფოსთვის ერთგვარი გამოწვევა და ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კოეფიციენტია, იზრდება მოთხოვნა დავის გადაწყვეტის სხვა ეფექტურ საშუალებებზე. მედიაციის გამოყენების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ პირობებში, როდესაც მხარეები ცდილობენ დავა მოაგვარონ მინიმალური დანახარჯებით და სასამართლოში საქმის შეტანის გარეშე, რადგან ამ უკანასკნელში დიდი დრო, ენერგია და ფინანსური რესურსი იხარჯება.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში განხილულია მსოფლიო და ადგილობრივ დონეზე არსებული გამოცდილება და შრომითი დავების გადაჭრის მათეული ხერხები. კერძოდ, ნაშრომში გაანალიზებულია აშშ, ესპანეთისა და გერმანიის მედიაციის მოდელები, გამომდინარე იქიდან, რომ მითითებული სამართლებრივი სისტემები არსებითად გამოირჩევიან მედიაციის წარმოების მაღალი ხარისხით. აგრეთვე, აღნიშნულია, მედიაციის მექანიზმის წინაშე არსებული გამოწვევები და თავისებურებები, მედიაციის ირგვლივ არსებული ძირითადი ტენდენციები, შრომითი მედიაციის დანერგვის ეფექტური მექანიზმები და სამომავლო პერსპექტივები. ნაშრომში წარმოჩენილია პრაქტიკული შედეგის მომტანი სხვადასხვა რელევანტური რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: მედიაცია, შრომითი დავები, შრომითი მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება.

Abstract

Mediation as an alternate method of resolving disputes is gaining strategic value in current reality in Georgia due to its "goodness" and simplicity. Because labor dispute resolution is a challenge for every jurisdiction and one of the most significant indicators of financial success, there is an expanding necessity for alternative dispute settlement methods. The use of mediation is highly relevant when the parties are attempting to solve their issue for the least amount of money and without having to go to court, which takes time and effort, and requires patience, energy, and money.

The study addresses the current experience at the global and local levels, as well as their techniques of settling labor disputes, for the goal of the research. Assuming that the described legal systems are fundamentally characterized by a great extent of mediation activity, the article focuses on US and German mediation models. It also describes the challenges and characteristics of the mediation mechanism, as well as the major trends surrounding mediation, effective strategies for implementing labor mediation, and future possibilities. The article includes a number of relevant recommendations as well as practical outcomes.

Keywords: Mediation, Labour dispute, Labour mediation, alternative dispute modes/ resolution.